ქუდზე კაცი არჩევნებზე!

# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

24 ოქტომბერი ხუთშაბათი 2024 წელი №43 (9357 ფასი 40 თეთრი

## ხმა მიეცით „ქართულ ოცნებას“!

ბიძინა ივანიშვილი
„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე



**2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველი ხალხის უპრეცედენტო ერთიანობამ ისტორიული გამარჯვება მოგვიტანა და თავისუფლება დაგვიბრუნა. ამ გამარჯვებამ დაამტკიცა, რამდენად ძლიერიც არ უნდა იყოს შიდა და გარე მტერი, როდესაც საქმე ჩვენი ხალხის ღირსებას და თავისუფლებას ეხება.**

1 ოქტომბერი არ ეკუთვნის რომელიმე პარტიას, რომელიმე ცალკეულ ადამიანს, 1 ოქტომბერი ეკუთვნის ქართველ ხალხს, საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც საოცარი ერთიანობით, ,,ქართულ ოცნებასთან“ ერთად, ქვეყანას ჩამორეცხეს სამარცხვინო შავი ლაქა, რომელიც თავისუფლად სუნთქვის, აზრის გამოხატვისა და, სიმართლის გატანის, ბიზნესის კეთების, ღირსეულად ცხოვრების საშუალებას გვაძლევდა.

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ისტორიის ჩარხი წაღმა დატრიალდა. არა მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმი დავამარცხეთ და ქვეყანა დავიბრუნეთ, არამედ ამ დღიდან მოყოლებული მივაღწიეთ ფუნდამნეტურ წინსვლას ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით, იქნება ეს დემოკრატია, ადამინის უფლებები, ჯანდაცვა, ეკონომიკა თუ სხვა. ეს ხელშესახები წინსვლა არა მხოლოდ ჩვენი მონდომებისა და ძალისხმევის, არამდე ბეწვის ხიდზე სწორად სიარულის შედეგია, რომელზეც მთელი განვლილი 12 წლის განმავლობაში ვიარეთ და დღემდე ვაგრძელებთ სვლას.

ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა შეძლო, რომ ამ ბეწვის ხიდზე საქართველო და ჩვენი მოსახლეობა 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობით ეტარებინა.

და ახლა, როცა ამ რთული გზის გადამწყვეტ მონაკვეთს გავდივართ, სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ ერთიანობის უპრეცედენტო მაგალითი. 26 ოქტომბრის არჩევნებზე ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ, რათა ვერასდროს ვერავინ იოტისოდენი ეჭვი მაინც შეიტანოს ,,ქართული ოცნებისადმი“ საქართველოს მოსახლეობის მხრადაჭერაში, ვერავინ შეიტანოს მცირეოდენი ეჭვი იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობა ირჩევს არა ომს, არამედ მშვიდობას, არა უცხო ქვეყნის აგენტებს, არამედ ქართველი ხალხის ინტერესების დამცველ გუნდს, არა ფსევდოლიბერალურ ღირებულებებს, არამედ ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს, არა იმ კატეგორიულად მიუღებელ მოცემულობას, რაც რადიკალურ ოპოზიციას და მათ უცხოელ მფარველებს სურთ რომ გაასაღონ, არამედ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევრო[პულ მომავალს!

**ამიტომაც პ[რინციპულად მნიშვნელოვანია, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ,,ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს. 26 ოქტომბერს დღის წესრიგში არა მხოლოდ პოლიტიკური სიმპათია-ანთიპათიის, არამედ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას! უფლისა და სამშობლოს წინაშე ვალდებულნი ვართ, რომ ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას დამოუკიდებელი და მშვიდობიანი საქართველო დავუტოვოთ. ამიტომაცაა, 26 ოქტომბერს კვლავ უნდა გავერთიანდეთ და გავიმარჯვოთ!**

**ჩვენი ერთდაერთი გზა არის - მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისაკენ!**

**გაუმარჯოს ერთიან, ძლიერ და გაბრწყინებულ საქართველოს!**

## მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისაკენ!

**დღევანდელი აყირავებული, არაორდინარული, გაგიჟებული, შეშლილი მსოფლიოს ფონზე აშკარად დამაიმედებლად გამოიყურება „ქართული ოცნების“ 12-წლიანი მონაპოვარი - მშვიდობიანი თანაარსებობა ჩვენს პატარა სამშობლოში, რომელიც ომებისაგან ურთიერთდაპირისპირებისაგან გათანგულია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველაფერი უკან დაგვრჩება, თუ მსოფლიოს მრავალ კონტინენტზე გაჩაღებული სისხლისმღვრელი შეიარაღებული დაპირისპირება საქართველომდე მოაღწევს. ამიტომ ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის უმთავრესია მშვიდობის შენარჩუნება. შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, რაც მეტ ხმას მიიღებს ,,ქართული ოცნება“ მით უფრო მშვიდი და წარმატებული იქნება მომდევნო ოთხი წელი და მით უფრო ნაკლები დაბრკოლება შეექმნება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.**

**ამიტომ მოგიწოდებთ, თითოეულ ამომრჩეველს, ხმა მიეცით ,,ქართულ ოცნებას“, რომელიც მომავალში თანმიმდევრულად იზრუნებს ადამიანის უფლებების დაცვისათვის, შიდა და გარე მტრული ძალების ანტისახელმწიფოებრივი გამოხდომების წინააღმდეგ, აქტიურად იმოქმედებს საქართველოს ნათელი, ტრადიციული ფასეულობების დამკვიდრებისათვის.**

**მოგიწოდებთ, აირჩიოთ საქართველოს ევროპული მომავალი. ქუდზე კაცი არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, რადგან ყველაფრის თავი და თავი ისევ მშვიდობა და საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება-გამთლიანებაა, მოვიშველიებ დიდი გალაკტიონის ცნობილი ლექსის სტრიქონებს: ,,საქართველო უპირველეს ყოვლისა“, სხვა გაზა, სხვა მიმართულება არ გაგვაჩნია!**

ვალერიან ლომიძე.

## ეს უნდა იცოდეთ...

- 26 ოქტომბერს ისტორიაში პირველად არჩევნები ჩატარდება სრულად პროპორციული წესით ანუ მეორე ტური გამორიცხულია.
- ისტორიაში პირველად არჩევნები თითქმის სრულად ელექტრონულად ტარდება ანუ პირველადი შედეგები 1 საათში იქნება ცნობილი.
- არჩევნებში მონაწილეობისათვის აუცილებელია ბიომეტრიული პირადობის მოწმობა ან პასპორტი.
- პარლამენტში არჩეული იქნება 150 დეპუტატი, არჩევნებში მონაწილეობს 18 პოლიტიკური პარტია, თითოეულმა მათგანმა 5 პროცენტიანი ბარიერი უნდა გადალახოს.
- ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 508 294, აქედან 135 922 ახალგაზრდა პირველად მიიღებს მონაწილეობას.
- საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებში 95910 ამომრჩეველია რეგისტრირებული. უბნები გახსნილია 42 ქვეყნის 53 ქალაქში.
- ამომრჩევლებს 3 111 საარჩევნო უბანი მოემსახურება. აქედან 67 უბანი საზღვარგარეთაა გახსნილი.
- ოქმის გამოქვეყნებიდან ათი დღის ვადაში პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა
- პირველი სხდომიდან 14 დღის ვადაში პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ უნდა წარადგინოს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის წევრების კანდიდატურები და მთავრობის სამოქმედო გეგმა

მთავრობისა და პრემიერის დასამტკიცებლად საჭიროა მინიმუმ 76 დეპუტატის მხარდაჭერა. ამის შემდეგ მაქსიმუმ 2 დღეში პრეზიდენტმა პრემიერი ოფიციალურად უნდა დანიშნოს. პრეზიდენტის მიერ არდანიშვნის შემთხვევაში კი, მაინც დანიშნულად ჩაითვლება.

თუ პირველ ჯერზე ვერ მოხერხდა პრემიერის დამტკიცება, მთავრობის ხელმძღვანელის კანდიდატის შერჩევის უფლება ეძლევა პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/3-ზე მეტს ანუ მინიმუმ 51 დეპუტატს.

ბორჯომის ოლქში შექმნილია 24 საარჩევნო უბანი, მათ შორის 16 საარჩევნო უბანში, არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გაიმართება და 8 საარჩევნო უბანში კენჭისყრა ტრადიციული წესით ჩატარდება; (ტაძრისის, ბაკურიანის ორი საარჩევნო უბანი, ციხისჯვრის, ანდეზიტის, მოლითის, ბალანთის და ტაბაწყურის საარჩევნო უბნები).

## ავირჩიოთ საქართველოს ევროპული მომავალი

**16 ოქტომბერს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ბორჯომის საზოგადოება შეხვდა საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს გივი მიქანაძეს, ბორჯომის, ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის დეპუტატს ანტონ ობოლაშვილს, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს ბესიკ ამირანაშვილს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობას.**

**შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ბორჯომის მერმა ოთარ არბოლიშვილმა, რომელიც მიესალმა საპატიო სტუმრებს და შეკრებილ საზოგადოების წარმომადგენლებს.**

**პარლამენტში სადეპუტატო მოვალეობის შესრულების თაობაზე ვრცლად ისაუბრა ბატონმა ანტონ ობოლაშვილმა და ყურადღება გაამახვილა საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებებზე და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას 26 ოქტომბერს ერთსულოვნად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და ხმა მისცენ ,,ქართულ ოცნებას“, რომელიც მშვიდობის, ღირსების, კეთილდღეობის გარანტიას იძლევა, რაც ყველასათვის მისაღებია.**



**განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი მიქანაძემ ანტონ ობოლაშვილთან ერთად დაათვალიერა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის რეაბილიტირებული სკოლები: ასპინძაში სოფელ დამალის და ტოლოშის სკოლები, ახალციხის №5 სკოლა, ადიგენში სოფელ უდეს №1 სკოლა, ბორჯომში სოფელ დვირის და ბორჯომის №6 სკოლის სარეაბილიტაციო და დასრულებული სამუშაოები.**

**სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, კეთილმოწყობა და თანამედროვედ აღჭურვა ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, განაცხადა ბატონმა გივი მიქანაძემ.**

**მნიშვნელოვანია, რომ რეაბილიტაციისა და ახალი სკოლების მშენებლობის დროს გათვალისწინებულია მათი აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. განათლება ქვეყნის განვითარების ფუნდამენტური ღირებულებაა. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია მომავალ თაობებს ღირსეულ გარემოში განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცეთ. განსაკუთრებით საყურადღებოა რეგიონების გაძლიერება ამ მიმართულებით, თითოეული რეაბილიტირებული, ახალი სკოლა, პროფესიული სასწავლებელი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება რეგიონების გამყარების და გაძლიერების პირდაპირპროპორციულია. მოგეხსენებათ, განსაკუთრებული ინტერესის სფეროს ექვემდებარება სასკოლო განათლების სისტემის მუდმივი განვითარება და გაჯანსაღება, რადგან განათლება ის სისტემურად მოქმედი პროცესია, რომელიც მიმართულია ადამიანის ფიზიკური ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისაკენ. სკოლების მშენებლობა, რეაბილიტაცია და სასკოლო ინვენტარით აღჭურვა მომავალ წლებშიც გაგრძელდება. ჩვენ ერთად გავაგრძელებთ ზრუნვას, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალმა თაობებმა შეძლონ მშვიდობიან ღირსეულ და განვითრებულ ევროპულ სახელმწიფოში ცხოვრება.**

სკოლების მშენებლობა, რეაბილიტაცია და სასკოლო ინვენტარით აღჭურვა მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შეხვედრა თბილ და მეგობრულ გარემოში წარიმართა. ყურადღება გამახვილდა ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელსა და სამომავლო პერსპექტივებზე, ასევე, ახალგაზრდების როლზე ქვეყნის განვითარების პროცესში.

შეხვედრაზე მოწვეული იყო საჯარო პოლიტიკის სპეციალისტი და მედია გადაცემების ავტორი, გურამ ნიკოლაშვილი, რომელმაც მათთვის საინტერესო თემებზე ისაუბრა - საქართველოს გეოპოლიტიკური წარსული, ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობა. მან ასევე ისაუბრა მედიის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაზე და გარდამტეხ პროცესებზე, დიდი სახელმწიფოების მხრიდან გამოწვეულ ძვრებზე და ისტორიულ ცვლილებებზე. ეს სწორედ ის ახალგაზრდები არიან, რომელთა ხელშიც ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალია.

მინდა მათ მადლობა გადავუხადო სიყვარულისთვის და მეგობრობისათვის. ჩვენს მომავალ თაობას მინდა ვუსურვო გამთლიანებული და ძლიერი საქართველო და მჯერა, მის გაძლიერებაში ახალგაზრდები თავის წვლილს შეიტანენ.

საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება არა მარტო საქართველოს ეკონომიკური, სოციალური, სულიერი, კულტურული განვითარების, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის დაბალანსების და მშვიდობიანი თანამშრომლობის გზაზე.

ხაზი გაესვა „ქართული ოცნების“ ქვეყნის სათავეში მოსვლის 12 წლის მანძილზე მიღწეულ წარმატებებს, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის, რომ ხელისუფლებამ ეს წლები ომის გარეშე მშვიდობიანად გაიარა და ღირსეულ წინსვლას მიაღწია ქვეყნის განვითარების ყველა სფეროში. ამიტომაცაა, რომ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს ჩვენი საზოგადოების არჩევნებში გამოჩენილ აქტიურობაზე. დღეს საკითხი დგას მეტად პრინციპულად - ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს არჩევნებში მინაწილეობის მისაღებად. დადგა დრო სულმნათი ილია ჭავჭავაძის სიტყვებს თუ მოვუხმობთ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“.

**შეხვედრის დასასრულს ბორჯომის საზოგადოების წარმომადგენლებმა სტუმრებს მუნიციპალიტეტში დღემდე გადაუწყვეტელი პრობლემების თაობაზე არაერთ კითხვები დაუსვეს.**

**სტუმრებმა კონკრეტულ კითხვებს ობიექტური შეფასება მისცეს და არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მათ გადასაწყვეტად დადებითი ღონისძიებების გადაწყვეტა აღგვითქვეს.**

# გახსოვდეთ, საქართველო უპირველეს ყოვლისა!

## საქართველოს თორმეტწლიანი წარმატება

**,,ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის 12 წლის მანძილზე ქვეყანაში უამრავი პროექტი განხორციელდა, რომელიც ყველა სფეროს მოიცავს:**

### ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები

2012-2013 წლებში საქართველოს ეკონომიკა 28-დან 80 მლრდ ლარამდე გაიზარდა, 2024 წლის ბოლოს მიაღწევს 90 მილიარდ ლარს.

ეკონომიკური ზრდის კვალდაკვალ 3,5-ჯერ - 8,5 მლრდ ლარიდან 30,8 მილიარდ ლარამდე გაიზარდა ქვეყნის ბიუჯეტი.

2021-2024 წლებში ქვეყანაში 6,2 მლრდ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლიდან დღემდე 133 366 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება - 4 238 079 578 ლარი.

2028 წლისთვის 5+%-აინი ეკონომიკური ზრდის პირობებში, მშპ ერთ სულზე 12 000 დოლარს მიაღწევს.

### სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად შეიქმნა 420 ახალი გადამამუშავებელი საწარმო და შემნახველი ობიექტი.

სოფლის დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 4%-ით:

სოფლად უმუშევრობა შემცირდა 7,8 პროცენტული პუნქტით;

### ტყის აღდგენა

2013 წლიდან დღემდე ტყე აღდგენილია 4000ჰა ფართობზე;

2030 წლამდე ტყის აღდგენის სამუშაოები 20 000 ჰა ფართობზე განხორციელდება;

სწრაფი რეაგირების ეკიპაჟების რაოდენობა 32 ეკიპაჟიდან 74-მდე გაიზარდა, რაც უზრუნველყოფს დარღვევევბზე ეფექტიან და დროულ რეაგირებას, დარღვევების პრევენციას.

### ქართული ღვინო

2012 წლის შემდეგ, 35 მლნ ლარიდან 300 მლნ ლარამდე გაიზარდა მევანახეების შემოსავალი;

ყველა მევენახეს ეძლევა მოსავლის შეუფერხებლად დაბინავების შესაძლებლობა;

5-ჯერ გაიზარდა ყურძნის გადამუშავების მაჩვენებელი.

12 წელიწადში ვენახების ფართობი გაორმაგდა.

### დაცული ტერიტორიები

საქართველოში შექმნილია 6 კატეგორიის 100 დაცული ტერიტორია, მათი ფართობი შეადგენს 927 729 ჰა-ს, რაც ქვეყნის ტერიტორიის 13,3% პროცენტია.

2012 წლიდან საქართველოში დაცული ტერიტორიების ფართობი 408 428 ჰექტარით გაიზარდა.

15 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო 200 კმ სიგრძის საფეხმავლო ბილიკები და ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურა, საფეხმავლო ხიდები, 7 სამთო თავშესაფარი (მთის ქოხები) 220 კმ სიგრძის ჯუთა-როშკა-ომალოს დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკების ქსელი;

აშენდა 12 თანამედროვე ვიზიტორთა ცენტრი და ადმინისტრაციული შენობა.

### ტურიზმის განვითარება

2012 წლის შემდეგ 2-ჯერ გაიზარდა ტურისტების რაოდენობა;

საქართველოს 2023 წელს 7 მლნ-ზე მეტი სართაშორისო მოგზაური ეწვია;

3-ჯერ გაიზარდა საერთაშიორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და ისტორიაში პირველად, 4 მლრდ დოლარს გადააჭარბა.

2024 წელს ტურიზმიდან შემოსავლები გაიზარდა 9% პროცენტით და ისტორიულ მაქსიმუმს - 4,5 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს;

2020-2024 წელს საერთაშორისო მოგზურების ვიზიტების რაოდენობა 7,9 მილიონს მიაღწევს.

### მთის კურორტები

საქართველოს სამთო-სათხილამურო კურიორტებზე გუდაური, ბაკურიანი, სვანეთი, გიდერძი: განხორციელდა 800მლნ ლარის ინვესტიცია;

აშენდა 28 ახალი საბაგირო. 2012 წლამდე სამთო-სათხილამურო კურორტებზე 16 საბაგირო იყო, მოეწყო დამატებით 106-კილომეტრიანი სასრიალო ტრასა - 2012 წლამდე იყო 44 კმ. ტრასა;

მოეწყო ხელოვნური გათოვლიანების სისტემები (40კმ), წყლის 3 ხელოვნური რეზერვუარი, ზვავსაწინააღმდეგო სისტემები. ახალმა ინფრასტრუქტურამ უზრუნველყო კურორტების მდგრადობა, სეზონის გახანგრძლივება და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება.

### პირველად საქართველოს ისტორიაში

2023 წელს ბაკურიანში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკში. ბაკურიანმა 42 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენს უმასპინძლა, ევროსპორტსა და სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ არხზე საქართველოს პოტენციალს 175 მილიონი მაყურებელი გაეცნო.

საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის გადაწყვეტილებით, საქართველო მუდმივ კალენდარში მოხვდა - გუდაური და ბაკურიანი, რომლებიც ყოველწლიურად უმასპინძლებენ მსოფლიო თასის ეტაპებს.

**2024 წელს სვანეთში, თეთნულდზე ჩატარდა ფრირაიდის მსოფლიო ტური. საქართველო 6 წამყვან ექსკლუზიურ ქვეყანს (კანადა, ანდორა, ესპანეთი, შვეიცარია, ავსტრია, საქართველო) შორის დასახელდა, რომელსაც ფრირაიდის მსოფლიო ტურის ჩატარების უფლება ხვდა წილად.**

2024 წელს გუდაურში გაიმართა ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი. საქართველო კიდევ ერთხელ მოინიშნა მსოფლიო სპორტულ რუკაზე, როგორც უდიდესი პოტენციალის მქონე ქვეყანა. 200-ზე მეტი კურორტის განვითარების პოტენციალის შესწავლის შედეგად შეირჩა 60-ზე მეტი ბუნებრივი რესურსით გამორჩეული ტურისტულად მიმზიდველი ადგილი, მომზადდა ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევები, რომელთა საუძველზე მოხდება კურორტების განვითარება.

### ბიზნესის მხარდაჭერა

შეიქმნა 700 ახალი საწარმო სახელმწიფო პროგრამის ,,აწარმოე საქართველოში" ფარგლებში;

გაფართოვდა და გადაიარაღდა 800 საწარმო;

მიკროგრანტების პროგრამით 116 მლნ ლარით დაფინანსდა 13 000-მდე ბენეფიციარი;

მიკროსესხების მხარდაჭერის ახალი პროგრამით 50 000 ლარამდე სესხით მცირე მეწარმეები წარმოების გაფართოება-გავითარებას შეძლებენ.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ხელშეწყობისათვის 2024 წელს 200მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული: ,,საკრედიტო საგარანტიო სქემით" დამატებით 300 პროექტი ისარგებლებს;

სესხის პროცენტის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში 2024 წელს დაგეგმილია 600-ზე მეტი ახალი პროექტის მხარდაჭერა. - მოხდება 500 მილიონ ლარამდე სესხის და 800 მილიონ ლარამდე ინვესტიციის მობილიზება.



## სოციალური დაცვა უპირველესი საზრუნავია



**არჩევნების წინ მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები ერთგვარ ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის დაცვის, სოცუზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურმა მიმდინარე წლის ცხრა თვეში დიდი და შრომატევადი მუშაობა გასწია მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით.**

**მინდა მოსახლეობამ იცოდეს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 24-მდე პროგრამა, რომელიც ემსახურება ბორჯომის მოსახლეობას, პროგრამები მეტად მრავალფეროვანია და შევეცდები მათ შესახებ კონკრეტულად მოგახსენოთ.**

**მიმდინარ**ე წლის სამ კვარტალში მომსახურეობის მუხლით დახმარება გაეწია 1631 პირს, რისთვისაც გამოიყო **1374657 ლარი;**

**109 მრავალშვილიან** ოჯახზე (ჯამში 978 ოჯახი) გაიცა 235 400 ლარი დახმარება;

**18 წლამდე შშმ** პირების მიმართ, რომელთა რაოდენობა შეადგენს 111 ბენეფიციარს (სექტემბრის ჩათვლით 1019 პირი), დახმარების თანხამ შეადგინა 132 900 ლარი;

**100 წელს გადაცილებულ** 2 მოქალაქეზე გაიცა 3 600 ლარი;

300 ლარიანი დახმარება მიეცათ 23 ახალდაქორწინებულ წყვილს - 6 900 ლარის ოდენობით;

**ახალშობილები**ს მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ერთჯერადად 1000 ლარიან დახმარებას და ყოველთვიურად ახალშობილის 1 წლამდე ასაკის 80 ახალშობილზე 100 ლარიანი დახმარება გაიცა 345 ოჯახზე 169 000 ლარი.

**სარიტუალო** მომსახურება გაეწია 9 ბენეფიციარს თანხით 2000 ლარი, ხოლო ერთი შემთხვევა იყო უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვისა, თანხით 500 ლარის ოდენობით;

**მედიკამენტების** შეძენის მუხლით დახმარება გაეწია 1050 ბენეფიციარს 201 356 ლარით;

**ონკოლოგიურ** ბენეფიციარებს, რომელთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში შეადგენს 264 ბენეფიციარს, დახმარების თანხამ შეადგინა 236 206 ლარი;

**მარტოხელა მშობლების** დახმარების მუხლით 106 (დღემდე 904) მშობელს გაეწია დახმარება 90 400 ლარის ოდენობით;

**ბავშვთა უფლებების** დაცვის მიმართულებით პროგრამით ისარგებლა 591 კრიზისულ სიტუაციაში მყოფმა ბავშვმა და დახმარების თანხამ შეადგინა 59 100 ლარი (დელეგირებული თანხა).

### საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი დახმარებები გაიცა:

**9 მაისს** მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებულ პირებზე და 26 მაისის დღესასწაულზე შშმ ვეტერანებზე 3000 ლარის ოდენობით 30 ვეტერანზე.

**დედის დღესთან** დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს 150 ლარიან დახმარებას 110 დედაზე გაიცა 16 500 ლარი.

**1 ივნისს** ,,ბავშვთა დაცვის დღეს" დახმარება გაეწია 77 პრევენციაში მყოფ არასრულწლოვან ბავშვს 7 700 ლარის ოდენობით.

**სოციალური დახმარებების** პაკეტი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კატეგირიის ბენეფიციარებს, სააღდგომოდ დახმარების სახით დაერიცხათ 74 800 ლარი, სულ 741 ბენეფიციარს.

**ყოველთვიურად** დღის ცენტრ ,,ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა"-ს კომუნალური ხარჯების დასაფარად ჯამში გადაერიცხა 1869 ლარი, ხოლო მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა მშობლების კომუნალურმა სუბსიდირებამ 9 თვის მანძილზე შეადგინა 100 680 ლარი 2 711 ოჯახზე.

**ჯამში 2023 წლის იანვრიდან დღემდე 10 486 ბენეფიციარზე გაიცა 2 716 568 ლარი.**

**საარგარი წლის მეოთხე კვარტალში გაგრძელდება ყველა იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც გათვალისწინებულია 2024 წლით დაგეგმილ სოციალური დახმარების მუხლებში და შესრულდება გეგმით გაწერილი გრაფიკის მიხედვით.**

**მიხეილ ხუციშვილი,**

**ჯანმრთელობის დაცის, სოცუზრუნველყოფის, ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი.**

## ქვეყანა გვაქვს გადასარჩენი

**არჩევნებამდე ერთი დღეა დარჩენილი. თქვენი არ ვიცი და ჩემთვის არჩევნები იმედების, უკეთეს მომავალთან ასოცირდება. ამიტომ არის, რომ ყოველთვის ვნერვიულობ, მით უმეტეს, ახლა, როცა დამოუკიდებლები ვართ, და როცა დაძაბული სიტუაციაა მთელ მსოფლიოში. ზოგს გონია, რომ რუსეთ-უკრაინის ომი მხოლოდ მათ ეხებათ, არა ბატონებო, ომის ქარცეცხლში ჩვენც ვართ გახვეულები. თითქმის ყოველთვე თითო ქართველი ვაჟკაცი მაინც ეწირება უკრაინაში წარმოებულ ომს.**

ამ ფონზე დასავლეთი საქართველოს ულტიმატუმებს უყენებს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების სანაცვლოდ ითხოვს სანქციების დაწესებას რუსეთზე, ივანიშვილზე, მიღებული კანონების გაუქმებას და კიდევ ათას უარგუმენტო ჩვენთვის (აღარ ჩამოვთვლი) მიუღებელ მოთხოვნებს. სატყუარას იყენებენ: ევროკავშირის და ნატოს კარი ღიააო. ეს ევროკავშირის კარი უკრაინელებსაც გაუღეს, მაგრამ რა? დარჩათ გაპარტახებული ქვეყანა, მეტი არაფერი... ჩვენც რომ წამოვეგოთ ამ ანკესზე, უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავვარდებით. ისევ ,,ქართულმა ოცნებამ" და მისმა ხელისუფლებამ გამოიჩინა გონიერება და გადაგვარჩინა ომს და სწორედ მათი წყალობით არის, რომ დღეს მშვიდობა გვაქვს. ზოგი იმას შემედავება, სიღარიბეა, ხალხი საზღვარგარეთ გარბის, გაჭირვებააო. ამაში არ ვეთანხმები მათ, რადგან ჩემი ნაცნობებიდან ისეთმა ადამიანებმა დატოვეს საქართველო, რომ არანაირი გაჭირვება არ ქონდათ.

კუჭს თუ აღორებ, ღორი ხარ, აქორებ - ქორიო. ასეთი შედარება მართლაც შეეფერება ზოგიერთ საზღვარგარეთ გადახვეწილ მოქალაქეს. პოლონეთში სამუშაოდ წასულ ახალგაზრდას რომ შევეკითხე, კმაყოფილი იყო თუ არა იქ მუშაობით და მიღებული ანაზღაურებით, პასუხად მივიღე: - აქ, საქართველოში, ისე რომ მემუშავა, როგორც პოლონეთში, ანაზღაურება ალბათ, მეტიც მექნებოდაო და აღარც ვაპირებ წასვლასო. ასე რომ, ხელის განძრევა თუ გინდა, სამუშაოს აქაც კარგად ნახავ. ისიც ვიცი, რომ საქართველოში არის ახალგაზრდების კატეგორია, რომლებიც ერთ და ორ ადგილზე კი არა, სამგანაც არიან დასაქმებულები.

პრეზიდენტმა კი ტექნიკური მთავრობის შექმნაზე დაიწყო საუბარი, სადაც პოლიტიკოსები არ შევლენ, რას ნიშნავს ეს, დაძაბულობა ისეც არის ამ საარჩევნო პერიოდში და კიდევ ეს გვინდა?! არეულობას გვიპირდებიან, ესეც დასავლეთიდან მოდის.

ამ ყველაფრის ფონზე ჩემი გადაწყვეტილება მყარია და ეს გაზეთის საშუალებით მინდა განვაცხადო, რომ პირადად მე ხმას ვაძლევს მშვიდობას, არ მინდა ომი და ნგრევა, არ მინდა შვილმკვდარი დედები გვყავდეს, მტერს არ ვუსურვებ ამ მდგომარეობაში ყოფნას. მშვიდობით ყველაფერი მოგვარებადია... **იმედიც მაქვს, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს. ყველაზე მთავარია ,,ქართულ ოცნებას" დავუჭიროთ მხარი.**

**ნათელა იჩქიტიძე.**

გამოკითხვა

## ამომრჩეველი ირჩევს მშვიდობას

**სულ რამდენიმე დღე რჩება საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე. წელს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად ახალი ელექტრონული სისტემით მოუწევს საქართველოს მოსახლეობას საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. გაზეთი ,,ბორჯომი" დაინტერესდა ბორჯომელი მოქალაქეების დამოკიდებულებით აპირებენ თუ არა ისინი არჩევნებზე წასვლას, მოქალაქეებმა ღიად და დაუფარავად ისაუბრეს:**

- -ახალ ელექტრონულ სისტემას მივესალმები. ჩემთვის საკუთარ ქვეყანაში და ოჯახში მშვიდობაა პრიორიტეტული. მიმაჩნია, რომ სწორედ მშვიდობით იწყება ყველაფერი საუკეთესო. უსაფრთხოების შეგრძნება, გამართული განათლებისა თუ ჯანდაცვის სისტემა ის ფუნდამეტური საკითხებია, რითაც წარმატებული ქვეყნის მომავალი იქმნება. ამ 12 წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა, ბრმა და მუნჯი უნდა იყო, რომ ვერ დაინახო და არ თქვა. 26 ოქტომბერს აუცილებლად მივალ და ჩემ ობიექტურ პოზიციას დავაფიქსირებ, აღნიშნა **ელენე გელაშვილმა**.

**გიორგი ხუციშვილი** :- მგონია, რომ ქართველ ხალხს ყველაზე უფრო ობიექტური არჩევანის გაკეთება შეუძლია და 26 ოქტომბერს ამას კიდევ ერთხელ დაამტკიცებენ. თითოეულმა საქართველოს მოქალაქემ არჩევნებზე საკუთარი, შვილებისა და შვილიშვილების მომავალი უნდა ავირჩიოთ და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კიდევ უკეთესი ცვლილებები 27 ოქტომბრიდან უკვე დაიწყება ჩემ ქვეყანაში. არჩევნების ახალი სისტემაც მისაღები და მოსაწონია.

**ღონღაძე ნინო**: - 26 ოქტომბერი ყველა ქართველისათვის დიდი გამოცდის ჩაბარების დღეა, ანუ ჩვენ ვაბარებთ გამოცდას ჩვენი მომავალი თაობის წინაშე. ის თუ როგორი მომავალი ექნებათ ჩვენ შვილებს, სწორედ ჩვენ სუბიექტურ და ობიექტურ არჩევანზეა დამოკიდებული.

- საოცარი წინსვლა შეინიშნება ქვეყანაში ბოლო რამდენიმე წელია. ახალგაზრდები დასაქმებულები არიან. უდიდესი ხელშეწყობაა განათლების კუთხით. ჯანდაცვის სფეროც მართლაც მოწოდების სიმაღლეზეა. უამრავი თანამედროვე სტანდარტი დაინერგა ქვეყანაში და ნამდვილად სასიხარულოა ქვეყნის წინსვლისთვის გადადგმული თოთოეული ნაბიჯი. ვინ ქმნის ჩვენი ქვეყნის მომავალს? ვინ და ჩვენ. თითოეული მოქალაქე, ის ადამიანები, რომლებმაც რეალურად უნდა შევაფასოთ არსებული სიტუაცია და კარგად დავფიქრდეთ იმაზე, ვისი არჩევა გვსურს. მოქალაქეებზე და ქვეყნის მომავალზე ორიენტირებული ხელისუფლება თუ მხოლოდ საკუთარ ინტერესბეზე? - აღნიშნა **ნუგზარ ცინცაძემ**.

**ნინა გოგალაძე**: - ის რაც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა ბოლო ათწლეულების მანძილზე, ალბათ, ვერც ერთი ქვეყანა და ხალხი ვერ გაუძლებდა. ჩვენ ყველაზე გამძლე ერი ვართ მსოფლიოში და მიმაჩნია, რომ არასდროს არ დავუშვებთ იმ ფაქტს, რომ უცხოელმა ტომებმა იბოგინონ ჩვენ ქვეყანაში. ამიტომაც ვალდებულები ვართ. 26 ოქტომბერს მივიდეთ არჩევნებზე და ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ.

ჩაიწერა **ნატალია მესხელმა**

## საარჩევნო უბნები მზადაა არჩევნებისათვის

**ბაკურიანის №10 და №11 საარჩევნო უბნებში არჩევნები ძველი, არაელექტრონული სისტემით ჩატარდება. ორივე საარჩევნო უბანზე მუშაობა სრული პასუხისმგებლობით მიმდინარეობს, კომისიის წევრები გამოცდილი თავმჯდომარეების, მედეა მეტრეველისა და ნინო მანჯავიძის ხელმძღვანელობით სრულიად მობილიზებულნი არიან - მორიგეობა უბნებზე მოწესრიგებულია, პროვოკაციებს ადგილი არ ჰქონია, საარჩევნო ბარათები დროულად რიგდება მოსახლეობაში, სიები მოწმდება, ყურადღება ექცევა გადასატანი ყუთის სიას, აგიტატორები მოსახლეობაში მუშაობენ და არჩევნებისათვის ყველა სრულ მზადყოფნაშია. უბნები ორიენტირებულები არიან იმისთვის, რომ არჩევნების დღემ მშვიდობიანად ჩაიაროს.**

### პასუხგაუცემელი კითხვები

## მიმართეთ პრესსამსახურს! – მივმართეთ!



**გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბორჯომის ოფისში მისულს ხელმძღვანელი ადგილზე არ დამხვდა. ერთ-ერთ თანამშრომელს ვთხოვე, რომ დაკავშირებოდა კომპეტენტურ პირს, რომელიც გაზეთი „ბორჯომის" შეკითხვებს უპასუხებდა. რამდენიმე წუთიანი ლოდინის შემდეგ მითხრეს, რომ დავკავშირებოდი პრესსამსახურს. შესაბამისად, ტელეფონის ნომერიც გამოვართვი. ელენე კავსაძესთან კომუნიკაციის შემდეგ, მთხოვეს, კითხვები წერილობითი ფორმით მეილზე გამეგზავნა და შეკითხვებს გაცნობოდნენ. მეილზე კითხვების გადაგზავნის შემდეგ ვიღებ ასეთ შეტყობინებას: „მოცულობითია ინფორმაცია, რასაც ითხოვთ, იმ კვირაში დაგიბრუნებთ პასუხებს".**

**იმ კვირაში რომ მათგან არანაირი გამოხმაურება არ იყო, ისევ დავუკავშირდი და მითხრეს, კითხვებზე პასუხები მზადაა და ხელმძღვანელი გადახედავს თუ არა, გადმომიგზავნიდნენ, მაგრამ ჩვენ არავითარი შეტყობინება ამ დრომდე არ მიგვიღია, აგერ უკვე ერთ თვეზე მეტია გასული და მოლოდინიც აღარ მაქვს, რომ ჩვენს კითხვებს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ამომწურავ პასუხებს გასცემს. არც შეხვედრის ჩანიშვნაზე გვითხრეს თანხმობა და არც წერილობითი ფორმით შედგა ჩვენს შორის საუბარი. არ გასცეს პასუხი არც ერთ ჩვენს დასმულ შეკითხვას, მათზე მორგებული გარემოებების მიუხედავად.**

**ექვსი შეკითხვა ისევ პასუხგაუცემელია. იძულებულები ვართ, ამჯერად კითხვები გაზეთში გამოვაქვეყნოთ.**

**1. გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ რამდენიმე კვირის წინ წყლის სათავე-ნაგებობის მასშტაბური გაწმენდითი სამუშაოები განახორციელა. რა სიხშირითაა აღნიშნული სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა და როგორ უზრუნველყოფთ სუფთა სასმელი წლის მიწოდებას მოსახლეობისათვის?**

**2 სად მდებარეობს სათავე-ნაგებობა და რა ტექნიკური აღჭურვილობა იქნა გამოყენებული გასაწმენდად? დეტალურად მოგვიყევით სამუშაო პროცესზე, რომელიც განახორციელეთ?**

**3. თქვენი კომპანია რომელ უბნებზე უზრუნველყოფს სასმელი წყალის მიეწოდებას?**

**4. არის შემთხვევები, მოსახლეობა წყლის გრაფიკით მიწოდებაზე საუბრობს და დღის გარკვეულ მონაკვეთებში დებეტი იმდენად მცირეა, შეუძლებელია საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამოიყენო (მაგალითად, ძალიან ხშირია ვაშლოვანის დასახლებაში აღნიშნული პრობლემები). რა იწვევს ამ შეფერხებას და როგორ შეიძლება მოგვარდეს უახლოეს ხანში?**

**5. თქვენი სამომავლო გეგმები რაიონში? რომელი პროექტების განხორციელება იგეგმება სამომავლოდ?**

**6. თქვენი მიმართვა მოსახლეობისადმი, რომელთა შორის უამრავ აზრს მოისმენთ წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებით. რა აჩვენა ლაბორატორიულმა კვლევებმა და რამდენ ხანში ერთხელ ტარდება აღნიშნული კვლევები? რა მიზეზებმა შეიძლება გამოიწვიოს წყლის დაბინძურება?**

**ასე გაჩნდება გაზეთში ახალი რუბრიკა - „პასუხგაუცემელი კითხვები", სადაც საჯაროს გავხდით ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებს და კომპანიებისა და რესპონდენტების მიერ წერილობითი ფორმითაც არგაცემულ პასუხებს.**

**მიმართეთ პრესსამსახურს! - მივმართეთ! მაგრამ მდგომარეობა არ გამოსწორებულა, ხელმძღვანელობა გამისამართებს პრესსამსახურთან, რომლებიც ისევ მმართველისგან იღებს პასუხებს და ასე ვტრიალებთ წრეზე. ერთი და იგივე ამბავს დასასრული არ აქვს! ასე „ტრიალებს ბრუნავს, ტრიალებს ბრუნავს, კარუსელი რომ ჰქვია".**

**და მაინც ვიმედოვნებ, რომ 78 წლის პენსიონერს, რომელსაც განრიგის ცოდნის მიუხედავად, აბაზანის მიღებისას, განრიგის გარეშე შეწყვეტილი წყლის გამო, ცივი წყლით მოუწია ბანაობამ.**

**ვიმედოვნებთ, ზემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებზე პასუხს გასცემთ და მსგავს ვითარებაში არ აღმოჩნდება არც ერთი ბორჯომელი.**

**პასუხისმგებლობა პირდაპირ ეკისრება შეუვალ და უპასუხისმგებლო კომპანიას, რომელიც წლებია არც პასუხს გვცემს და არც პრობლემას აგვარებს.**

**იზა იანვარაშვილი**

### კულტურის ქრონიკა

## ფიროსმანი ბორჯომის სცენაზე

**რამდენიმე დღის წინ მოხეტიალე მთვარის თეატრმა, ბორჯომის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში თოჯინური სპექტაკლი „ფიროსმანი" წარმოადგინა.** სოფელ მირზაანში გლეხის ოჯახში დაბადებული ნიკო ფოროსმანაშვილის შესახებ ცხოვრებისეული სიუჟეტები საოცარი ფერადოვნებით იშლებოდა მაყურებლების წინაშე. საკმაოდ პატარა ასაკში დაობლებული, მშობლების გარდაცვალების შემდეგ თბილისში გადადის საცხოვრებლად. ნიკო ბავშვობიდან იჩენდა დიდ ინტერესს მხატვრობისადმი, ბევრს ხატავდა კიდეც. სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. 1880-იან წლებში თვითნასწავლ გ. ზაზიაშვილთან ერთად გახსნა ფერწერის სახელოსნო და აბრების შეკვეთებს იღებდა. 1890-1894 წლებში კონდუქტორად მუშაობდა კავკასიის რკინიგზაზე, ვაჭრობაშიც სცადა ბედი. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისელ მედუქნეებთან და მიკიტნებთან აფარებდა თავს, მათი შეკვეთით ხატავდა აბრებს, პორტრეტებს. როდესაც ფიროსმანს მემკვიდრეობას ვეცნობით, ნათელი ხდება მხატვრის ინტერესთა მრავალფეროვნება, რჩება შთაბეჭდილება, რომ მას სავსებით ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა ჰქონდა და შეგნებულად, თანმიმდევრულად ქმნიდა თავის მხატვრულ სამყაროს. სწორედ მისი ცხოვრების ეს მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდები ენაცვლებოდა ერთმანეთს სცენაზე თითქმის 80 წუთის მანძილზე.



ფიროსმანის შემოქმედებამ XX საუკუნის 10-20-იანი წლების მიჯნაზე, როდესაც ხელოვნებაში მწვავედ დაისვა ქართული ეროვნული ფორმის ძიების საკითხი, დიდი გამოძახილი ჰპოვა ქართველ მხატვართა ახალი თაობის წარმომადგენლებში, რომელთაც სამართლიანად მიაჩნდათ, რომ ფიროსმანი ეროვნულ ნიადაგზე ორგანულად აღმოცენებული მხატვარია. ფიროსმანაშვილს იზიდავდა სოფლის ბუნება და იშვიათად მიმართავდა ქალაქურ პეიზაჟებს, განსაკუთრებული პოეტური ძალით არის აღბეჭდილი ფიროსმანაშვილის მიერ დახატული ღამის სცენები, მკვეთრი სოციალური დახასიათებებით გამოირჩევა ფიროსმანაშვილის მიერ თბილისელი ხელოსნების, მედუქნეების, კინტოების, ბოჰემის წარმომადგენელთა, აგრეთვე მუშების პორტრეტები („გოგონა საჰაერო ბუშტით", მოსკოვი, კერძო კოლექცია; „მდიდარი კინტოს შვილი", „მეეზოვე", „ორი მუშა", „აქტრისა მარგარიტა", „ორთაჭალის ტურფები", „მუშა სოსო", „მებადური"). ფიროსმანის თემატიკას გარკვეული კვალი დაამჩნია იმ სოციალურმა გარემომ, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება მხატვარს. მის მხატვრულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს ქეიფის სცენებს, რომელიც არსებითად, თბილისელ ვაჭარ-ხელოსანთა, მიკიტნების, ზოგჯერ თავადების ჯგუფურ პორტრეტებს წარმოადგენს („ბეგოს კამპანია", „ქეიფი მეარღნე დათიკო ზემელთან", „თავადების ქეიფი მინდვრად", „ხუთი თავადის ქეიფი", 1906 წელი ყველა ნამუშევარი - საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული). ზოგჯერ ქეიფის სცენები გაშლილია პეიზაჟის ფონზე („სვირი", საქართველოს ხელოვნების მუზეუმი), ან ჩართულია მრავალფიგურიან „პანორამულ" კომპოზიციებში („ვირის ხიდი", „კახეთის ეპოსი", „ქეიფი რთველში") .თემატიკურ სცენებს ენაცვლება ნატურმორტები და აბრები.

ფიროსმანაშვილის სურათების უპირველეს ძალას შეადგენს მათი შინაგანი სიმართლე, უშუალობა, დიდი ექსპრესიულობა, ხასიათის მკაფიო გამოკვეთა. სხვა თვითნასწავლ მხატვართაგან განსხვავებით, ფიროსმანაშვილი მიზნად არ ისახავდა ბუნების ნატურალისტურ იმიტაციას, არ მისდევდა წვრილმანებს, შესწევდა ყველაფერში არსებითის, ტიპურის დანახვისა და განზოგადების უნარი. განურჩევლად ზომისა, ფიროსმანაშვილის სურათებს შინაგანი მნიშვნელოვანება და მონუმენტურობა ახასიათებს. ყველა ამ თვისებით ფიროსმანის შემოქმედება ძველ ქართულ კედლის მხატვრობას ჰგავს.

სამწუხაროა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ნიკო ფიროსმანმა გაჭირვებას თავი ვერ დააღწია; ქართველ მხატვართა საზოგადოება დროდადრო კი ცდილობდა შეემსუბუქებინა მისი ხვედრი, თუმცა ფიროსმანი მაინც მარტოობაში გარდაიცვალა და სამწუხაროდ, მისი საფლავიც უცნობი დარჩა.

**სპექტაკლი საოცარი სიტყვებით სრულდება: - ადამიანი იბადება, იზრდება და კვდება და რა რჩება მისგან? არც არაფერი. აი ნიკალამ კი...**

**დიახ, ნიკალამ სიცოცხლის ბოლოს, თუმცა მაინც შეძლო უკვდავება და ეს უკვდავება სწორედ მის მიერ შექმნილ ნახატებშია, რომელიც დღესაც ნუსხავს დამთავალიერებლებს. .**

**ნატო მელიქიძე**



## როცა მძღოლს პასუხისმგებლობა ღალატობს



**უამრავჯერ დაგვიწერია აღნიშნული პრობლემის შესახებ, თუმცა მაინც აუცილებლობად მიმაჩნია, ვისაუბრო იმ საკითხზე, რომლის შესახებაც საზოგადოება დიდი ხანია ხედავს.** ბორჯომი-ხაშური-ახალციხის დამაკავშირებელ ცენტრალურ ტრასაზე მოძრავი ტრაილერები ჩვენი მოსახლეობის თავის ტკივილია. მსუბუქ მანქანებს ე.წ. ,,ტრიუკების" გაკეთების ფასად უწევთ ყოველდღიურად მოძრაობა გზებზე, რათა საოცარი სისწრაფით მოძრავ ტრაილერებს გვერდი აუქციონ. თითქმის დღე არ გავა, რომ \ქვეყნისა თუ ადგილობრივმა მედია-საშუალებებმა აღნიშნული გზის მონაკვეთზე ,,ტრაილერის" ავარიის შესახებ არ გვაცნობოს. ,,ტრაილერი" გადავარდა გზის სავალი ნაწილიდან", „მძღოლს სამწუხაროდ ჩაეძინა", ,,მძღოლი ავარიის დროს მარტო იმყოფებოდა" ეს და მსგავსი შინაარსის სტატუსები გვხვდება თითქმის ყოველდღიურად. ყველაზე ახალი ამბავი კი, რაც სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ ბორჯომში მოხდა, სასაფლაოს მიმდებარედ არსებულ მოსახვევთან მომხდარი ავარია გახლდათ, როდესაც დილის საათებში ტრაილერი გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და ცენტრალურ გზაზე გადავარდა. მადლობა უფალს, რომ მსხვერპლი არ მომხდარა, დაიღვარა დიზელის საწვავი, რომლის დასუფთავებასაც ბორჯომის სამაშველო სამსახური მალევე შეუდგა. გავრცელდა ხმები, რომ მძღოლი ნასვამი იყოო, თუმცა უკვე არაფერს არ აქვს მნიშვნელობა, როცა ფაქტი მოხდა, მაგრამ ისმის კითხვა, როდესაც ამხელა მანქანას მართავ, დადიხარ იმ გზაზე, რომელიც ისედაც ვიწრო მონაკვეთია მსუბუქი მანქანების მოძრაობისთვის და საფრთხეს უქმნი არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ სხვის სიცოცხლესაც, ნუთუ არ შეიძლება, რომ ადამიანურ ფაქტორზეც იფიქროთ?

ჯერ კიდევ წლების წინ საუბარი იყო ე.წ. შემოვლით გზაზე, რომელიც ვაშლოვანიდან ლარებამდე გვირაბის არსებობას გულისხმობდა, რომელიც ცენტრალურ ტრასაზე არსებული მანქანების ქაოსურ მოძრაობას განტვირთავდა, თუმცა, ეს ყოველივე სიტყვიერ დონეზე დარჩა და რა თქმა უნდა, ამ პროექტის განხორციელებას თანხებიც საკმაო რაოდენობის დასჭირდებოდა, თუმცა, თუკი დღეს არსებულ სიტუაციას გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ის, რაც ჩვენ გზებზე ხდება, აღნიშნულ ფაქტებს მაქსიმალურად შეამცირებდა. ისევე როგორც რიკოთის უღელტეხილზე მსგავსი ტიპის მანქანებისთვის მოძრაობა შეზღუდულია და მხოლოდ გარკვეულ საათებში უნდა იმოძრაონ, ამ მხრივ არც ჩვენი ბორჯომი უნდა იყოს გამონაკლისი. მითუმეტეს, იმავე დღეს, როდესაც სასაფლაოს ტერიტორიაზე მოხდა ავარია, დილით სკოლაში მიმავალ მოსწავლესაც დაეჯახა მანქანა. უბრალოდ ისმის კითხვა, რა პრინციპით მოძრაობენ მანქანები და გაურკვეველია, რატომ არ ემორჩილებიან საგზაო მოძრაობის წესებს. ვხედავთ, რომ სულ სადღაც ეჩქარებათ, მაგრამ გამოთქმა ხომ გაგიგიათ, მოჩქარეს დაუგვიანდაო? ჰოდა, სწრაფად მოსიარულე მძღოლების ბოლოც სამწუხაროდ, სწორედ ასეა. საუბედუროდ, არა მხოლოდ ,,ტრაილერების" მძღოლებს ვხვდებით სწრაფად მოსიარულეებს, არამედ მსუბუქი ავტომანქანის მძღოლებსაც. განსაკუთრებით სკოლების წინ რომ იმაზე მეტი სიჩქარით მოძრაობენ, ვიდრე დაშვებულია. სკოლებთან კი დგას ნიშანი იმის აღნიშვნის, რომ ბავშვები მოძრაობენ და რატომ არ ითვალისწინებენ, ნამდვილად გასაოცარია, მოსწავლეს და საერთოდაც ქვეითად მოსიარულეს უფლება ჰქონდეთ, მშვიდად და უსაფრთხოდ გადავიდეს თავის კუთვნილ გზაზე?.

ნაცნობი ყვებოდა, ამერიკაში მცხოვრებმა ნათესავმა ვიდეო გამომიგზავნა, სადაც ჩანს, სკოლის ავტობუსი, საიდანაც სკოლის მოსწავლეები ჩამოდიან და სანამ ბოლო მოსწავლე არ გადაკვეთს ზებრა გადასასვლელს, მანამდე არც ერთი მანქანა არ იძვრის ადგილიდან. სწორედ ეს არის საკუთარი მოქალაქეების პატივისცემა. კარგი იქნება, თუკი ასეთ დადებით მაგალითს გადმოვიტანთ ჩვენ ყოველდღიურობაში, რაც ნამდვილად მიგვაახლოვებს დემოკრატიულ ქვეყნებთან, სადაც ყოველივე ზემოთ აღნიშნული ყოველდღიური ნორმაა და რომლისთვისაც თითოეულმა ადამიანმა პერსონალურად, ერთად იმუშავეს და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ იციან, სად როგორ იმოძრაონ და ის, რომ მოძრაობის დამრღვევს შესაბამისი ჯარიმაც დაეკისრება. დიახ, იქ ჯარიმებიც შესაბამისია და ერთმანეთის მიმართ მეტი პატივისცემაც. **ამიტომაც სამართალდამცავების მხრიდანაც ძალიან დიდი სამუშაოა გასატარებელი, რომ ბევრჯერ მიუთითონ და დააჯარიმონ კიდეც სკოლებთან მოსიარულე ურჩი მძღოლები, რათა ბოლოს ფატალურ შედეგებამდე არ მივიდეთ და შემდეგ თაობებს უკეთესი მაგალითი მივცეთ და არა, უარესი.**

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

# ხმა მიეცით საქართველოს დამოუკიდებლობას!

### სპორტი

## სანუკვარი პრიზი ჩამომსხმელებს



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, წარმოება-დაწესებულებებს შორის გარდამავალი თასის ტურნირი მინი ფეხბურთში დასრულდა.**

ბორჯომის თასი 2024-ის გამარჯვებული ბორჯომის მინწყლის №2 ჩამომსხმელი ქარხნის გუნდი გახდა, მეორე ადგილი სასტუმრომ ,,ქრაუნ პლაზა" გუნდმა დაიკავა, მესამე ადგილზე კი ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლის გუნდი გავიდა.

მათ ბორჯომის მუნიციპალიტეტისგან თასები, მედლები და ფულადი ჯილდო გადაეცათ.

გამარჯვებულ №2 ჩამომსხმელ ქარხნის გუნდს - 1500 ლარი;
სასტუმროს ,,ქრაუნ პლაზა" გუნდი - 1000 ლარი;
ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლის გუნდი - 500 ლარი.

საპრიზო ადგილზე გასული გუნდები ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და მისმა მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** დააჯილდოვეს.

აღსანიშნავია, რომ წარმოება-დაწესებულებებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრების გამართვა ერთგვარი ტრადიციაა, რომელიც ხელს უწყობს ჯანსალი ცხოვრების პროპაგანდას და ახალგაზრდების წახალისებას.



**ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გამართულ ევროპის არნოლდ კლასიკის ჩემპიონატზე, ბორჯომელმა სპორტსმენმა გიორგი ტალახაძემ ოქროს ორი მედალი მოიპოვა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია გიორგი ტალახაძეს ულოცავს მიღწეულ გამარჯვებას!**

## ბათუმში 1920წ. ბრიტანელი ოფიცრის ჩანაწერებიდან:

- ქართველები უცნაური ხალხია, ანგლო-საქსონი ადამიანისთვის რთულად გასაგები. მათი წარმოშობა, ისევე როგორც მათი ენისა, ბურუსითაა მოცული. მეხუთე საუკუნეში, მაშინ როდესაც დასავლეთის დიდი ნაწილი და მთელი რუსეთი ჯერ კიდევ ველური იყო, ქართველები უკვე ქრისტიანები იყვნენ და მათ დღემდე შეინარჩუნეს თავიანთი მრწამსი, მათი კულტურა სპარსულს ეყრდნობა, მაგრამ ამავე დროს დასავლურიცაა, თუმცა არსებითად ქართველები მაინც აღმოსავლეთის ხალხია.

ქართველები ყოველთვის მებრძოლები არიან, რაინდულები, უზომოდ მამაცები, მხიარულები, [მაგრამ ასევე] თავქარიანები, წინდაუხედავები, კარგსა და ცუდს რომ თანაბრად ეგებებიან; რაც უფრო წარმატებულები არიან, მით უფრო უსაქმურები და ზანტები ხდებიან, მაგრამ წარუმატებლობა კვლავ ძალისხმევისკენ ამხნევებს მათ. ძლიერი და მშვენიერნი, კაცებიც და ქალებიც კარგი მხედრები არიან და დიდ სიამოვნებას ნახულობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში და საფრთხეში.

ქართველები არიან გულუხვები, სპონტანურები, ყოველგვარი იმ არაჯანსაღი მისტიციზმი გარეშე რომელიც რუსებს ახასიათებთ, გულთბილები და ამავე დროს თვით ლუციფერივით ამაყნი. როდესაც საქმე ღირსებას შეეხება, ქართველი ხდება მძვინვარე და გულღრძო, ფიცხ მოჩხუბარი, წამში შეუძლია იფეთქოს და მოკლას მოწინააღმდეგე წვრილმანი შეურაცხყოფისთვის, იმის გაუაზრებლად თუ რად დაუჯდება ეს მას; შურისძიებაში დაუღალავნი, ისინი ასევე ფანტასტიურად გულუხვები არიან პატიებაში.

ქართველები უფრო მოქმედებენ იმპულსითა და ემოციებით, ვიდრე საღი გონებით, ერთი სიტყვა ან ქმედებაა საკმარისი, რათა ისინი ცრემლებიდან სიცილამდე მიიყვანო, ან მტრობიდან სათუთობამდე.

საუბარი, განხილვა, სასიამოვნო განსჯაში და დისკუსიაში საათების გატარება - ეს არის ქართველთა ჩვევა. საუბარი დიდად სიამოვნებთ მათ და მათთვის სიტყვა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ქმედება. ისინი არასოდეს იწუხებენ თავს ფულის დაზოგვით; როდესაც ფული აქვთ, გაშლილი ხელით ხარჯავენ გარშემორტყმულნი ათობით მეგობრითა და ნათესავით, ხარჯავენ დაუდევრად და ხვალინდელ დღეზე ფიქრის გარეშე, იმის იმედით, რომ იღბალი გაუმართლებთ და ისევ იშოვნიან ფულს. ქეიფი და დროსტარება მათ სისხლშია და ამის დასტურია მათი წარმოუდგენელი სტუმართმოყვარეობა - საჭმლით დახუნძლული მაგიდები, თამადას დახვეწილი სადღეგრძელოები, საჭმელ-სასმელის უწყვეტი დინება, რომელსაც ბოლო არ უჩანს, მრავალდღიანი დღესასწაულები, რომელსაც ნებისმიერ საბაბზე აწყობენ.

ქართველები არიან მგზნებარე ინდივიდუალისტები, რომლებსაც აკლიათ დისციპლინა და თვითკონტროლი; სძაგთ ბრძანებები და დამორჩილება. მაგრამ ყველაზე მეტად ისინი გამსჭვალულები არიან პატრიოტიზმით, საქართველოს და თავისუფლების სიყვარულით, რომელიც იმდენად მგზნებარეა, ვერანაირი დამარცხება ან უბედურება ვერ შეძლებს გაანადგუროს ან გასტეხოს ეს ხალხი.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა
ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
კორექტორი: ნანა კევლიშვილი

## ვულოცავთ!



წარსულში ცნობილ სამთო მოთხილამურეს, სამშობლოს და მშობლიური ბაკურიანის პატრიოტ პიროვნებას, შესანიშნავი ოჯახის უფროსს და წარმატებული შვილების და შვილიშვილების მამას და ბაბუას, ჩვენს უფროსს ძმას და მეგობარს **ოთარ ხვედელიძეს** ვულოცავთ დაბადების 85 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, ულევ სიხარულს საყვარელ ოჯახის წევრებთან: მეუღლესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს, ჩვენო ოთარ!

პატივისცემით უმცროსი **მეგობრები**

### პოეზიის კუთხე

## ქრისტეს ეკლესია

ვერ შეიფერეს ადამმა, ევამ რბილი სამოთხე,
სიმშვიდე, სითბო, ნეტარებით სავსე გულები,
დღეს მათ ნაშიერთ, სატანჯველში გვიწევს ცხოვრება,
თუმც კი ბოლომდე არ ვართ ღვთისგან განწირულები.
ეკლესიაა, ამ მიწაზე, ეხლა სამოთხე.
სახარება კი ანთებული ბნელი სანთელი,
ტაძარში მღვდელი ღვთის სწავლებას, ღვთის სიტყვას გვაწვდის,
რომ მოგვეფინოს, მისით, ცოდვით, ქრისტეს ნათელი.
ეკლესიაა, ამ მიწაზე, ეხლა სამოთხე,
და მის წიაღში კვლავ აღიდგენ დაკარგულ წარსულს,
სიმშვიდეში და სიყვარულში ნეტარებს სული,
ადიდებ უფალს, ანგელოზნი სდევნიან ავსულს.
,,ნაბოძები გაქვთ ახალი და ძველი აღქმა,
მწყემსად იგულეთ ეკლესია, უფლისმი უფლისმიერი,
ეს საკმაო სასუფევლის მოსახვეჭელად".
ასე გვმოძღვრავდა დიდი დანტე ალეგიერი.

**ოლიკო ლომიძე**

## ვუმღეროთ ბორჯომს

ბორჯომს ვუმღერ სიყვარულით ამ გულიდან,
დაილოცოს შენი ტყე და შენი წყალიც,
თორელების სამშობლო ხარ წარსულიდან,
ბორჯომს ეტრფის განურჩევლით კაციც-ქალიც.
მოდუდუნე მტკვარი იკრავს ნაკადულობს,
მედუდურად, გადმოგვყურებს თავზე ,,პლატო",
შენს ბაღებში დასვენება გვივსებს გულებს,
უკვდავი ხარ საქართველოს ანდამატი.
გაზაფხულზე მწვანეთა ხარ მოკაზმული,
შემოდგომით იხატება ოქროს ფერად,
საქართველოს მარგალიტო სულ მზადა ხარ,
სტუმრისათვის ხელგაშლილი შესაგებად.
სილამაზით არნახულო ხეობა გაქვს,
დაილოცოს შენი მთა და შენი მდელო,
არასოდეს არ გაქრება, არასოდეს...
ბორჯომი და სულნათელი ბორჯომელი.

**მისამღერი:**

ბუმბერაზ მთებში ჩაფლულხარ,
მესხების კარის დარაჯო,
ირმების ნამუსრალი ხარ,
ჩემო ლამაზო ქალაქო.

**თამაზ ლაფაჩი.**

## მამა-შვილის დიალოგი

### (იუმორი)

გზიდან ჩამომეხსენ მამა,
უკვე გამიმაგრდა ფრთები,
წინ მე წავუძღვები დედლებს,
მალე სრულწლოვანი ვხდები.
-კარგად მომისმინე შვილო,
მგონი უზრდელობა გჯობნის,
წიწილი რომ სჯობდეს მამალს,
სად გაიგონე და როდის?!
პატივი მიაგე დიდებს,
ზრდილობა ისწავლო დროა,
ჭკვიანს თავმდაბლობა შვენის,
სულ მალე შენი დროც მოვა.
ვინ გითხრა, ან როდის იყო,
უზრდელს და უგნურად შობილს,
ვინმემ მოუწონოს ქცევა,
ზემოდან ყურება მშობლის?
რაც მეტ თავმდაბლობას დასთეს,
იქნები სიმართლის მდომი,
მით მეტად დაიცავ თავს და
ველარ მოგიტაცებს ქორი.
იმით დაფასდები რჯულში,
როგორსაც დასთესავ სამკალს,
ჭკვიანი ძვირ ფასად ფასობს,
მამა გეუბნები ამას.

**იზო სარქისიანი.**
20.10.24 წ.

## მადლობა გულისხმიერებისათვის

**ამა წლის 5 იანვარს,** სოფელ ჭობისხევში მცხოვრები 10 წლის **არჩილ სამსონაშვილი** მოულოდნელად სისხლჩაქცევით გაითიშა. სასწრაფოდ წავიყვანეთ ბორჯომის ჯეოჰოსპიტალში, სადაც დახმარება გაუწია მედ-პერსონალმა. მადლობა მათ ოპერატიულობისთვის. შემდეგ სასწრაფოდ გადავიყვანეთ თბილისში, ინგოროყვას საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა ოპერაცია, ექიმების ვარაუდით ბავშვის გადარჩენის ერთი პროცენტიც არ იყო, თუმცა ღმერთის წყალობით ბავშვი გამოვიდა მდგომარეობიდან და დღემდე რეაბილიტაციას გადის კლინიკაში.

პატივცემულო რედაქციავ! თქვენი გაზეთის საშუალებით დიდ მადლობას ვუხდით ჭობისხევის თითოეულ მაცხოვრებელს, რომლებმაც ფულადი თანხა შეაგროვეს პატარა არჩილის გადასარჩენად. დიდი მადლობა ბიძაშვილებს, წასულებს თუ აქ მაცხოვრებლებს, ნათესავებს, მეგობრებს, ოჯახის ნათლიებს გვერდში დგომისთვის.

ასევე დიდი მადლობა მინდა გადაუხადოთ მამა ილარიონს, რომელიც დღესაც ლოცულობს არჩილის გამოჯანმრთელებისათვის. დიდი მადლობა სპორტსკოლის დირექტორს **ელიზბარ სტეფნაძეს**, საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორს ქალბატონ **ნინო ბენდელიანს,** ჭობისხევის საბავშვო ბაღის გამგეს **ნინო მახარაშვილს** და მის ყველა თანამშრომელს. სკოლის დირექტორს ქალბატონ **ქეთინო არდაზიშვილს** და ყველა თანამშრომელს.

მადლობა ბორჯომის პირველი საბავშვო ბაღის ხელმძღვანელს ქალბატონ **ქეთევან გრიგალაშვილს** და მის თანამშრომლებს.

მადლობა ბორჯომის მინწყლების ქარხნის თანამშრომლებს **თამაზ კაპანაძის** ხელმძღვანელობით.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადაუხადოთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ **ოთარ არბოლიშვილს,** საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ **დავით ზაალიშვილს**, მათ მოადგილეებს და თითოეულ თანამშრომელს. ჩვენს დეპუტატს **ელზა კუჭუხიძეს**, რომელიც დღემდე გვერდში გვიდგას და გვეხმარება.

ღმერთმა ამრავლოს ასეთი გულისხმიერი და კეთილი ადამიანები.

**მშობლები: ნანა შუბითიძე, ზვიად სამსონაშვილი**
ბებია **ლალი სამსონაშვილი**